



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49240107

თარიღი:10/01/2024

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის ნონა ტაბიძის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე გადანიშნვის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 29 ივნისის #36/104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის ნონა ტაბიძის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე გადანიშნვის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 29 ივნისის #36/104 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნონა ტაბიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გადანიშნოს საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1862 ლარის ოდენობით.“

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

